სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № 11
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 23.03.2012 წელი

შემსყიდველი – სსიპ №107 საჯარო სკოლა
მისამართი: ლილოს დასახლება
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ლიბერთი ბანკი. ლილო ს/ც
საბანკო კოდი: **LBRTGE22**
ანგარიში: 34081412255
საიდენტიფიკაციო კოდი: 208145345

მიმწოდებელი: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის გია მამულაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. №1
საბანკო რეკვიზიტები: სს „ბაზისბანკი"
ბანკის კოდი: 220101956
SWIFT: CBASGE22
ანგარიში ნომერი : GE76BS0000000000134983
მიმღები: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მიზნობრივი ანგარიში
საინდეტიფიკაციო კოდი: 202 374 251

ერთი მხრივ **შემსყიდველი**, ხოლო მეორე მხრივ **მიმწოდებელი**, ხელმძღვანელობენ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ადასტურებენ, რომ შემსყიდველის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შემსყიდველის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში, მიმწოდებლისგან ტრენინგების ჩატარების მომსახურების (შემდგომში – მომსახურება) შესყიდვა.

2. მხარეთა მოვალეობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
2.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს მომსახურება, კერძოდ ჩაუტაროს ტრენინგი: ბიოლოგიის ექსპერიმენტული ნაწილი (შემდგომში „ტრენინგი") ამა წლის 23 მარტიდან 26 მარტის ჩათვლით, ერთი მონაწილისთვის - კერძოდ, მაია თეთრაძე-ზაზაძე
2.1.2. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
2.1.3. მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე წარუდგინოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების 5,3 მუხლით გათვალისწინებული ფინანსური დოკუმენტაცია.

2.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2.3 შემსყიდველი ვალდებულია:
2.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
2.3.2. უზრუნველყოს საკუთარი თანამშრომლების ტრენინგზე დასწრება.

2.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 90 ლარს (ოთხმოცდაათი ლარი)
3.2 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1 მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
4.3 გადახდის ფორმა: უნაღდო.
4.4 გადაცემის თარიღად ითვლება მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის თარიღი.

5. შესყიდვის საგნის მიწოდების ადგილი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი
5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: თბილისი, მასწავლებლის სახლი

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება გაუწიოს შემსყიდველს ამა წლის 23 მარტიდან 26 მარტის ჩათვლით.

5.3. მომსახურების გაწევისას, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და ა.შ.).

5.4. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად, აღნიშნულის თაობაზე გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სკოლის დირექტორს გიორგი ერაძეს, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს თეონა კუპატაძეს.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება
7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.
7.2. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება ევალება სკოლის დირექტორს გიორგი ერაძე.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

8.2. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:

8.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარის მიერ გაგრძელებულ ვადაში მეორე მხარეს არ შეუძლია ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შესრულება;

8.2.2. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

8.2.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.5. რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო

ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

11.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

11.2. ამ ხელშეკრულების 11.1. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

11.3. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა ამ ხელშეკრულების 11.1, 11.2. და 11.3. პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13.2 იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ორს იტოვებს შემსყიდველი

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
სსიპ №107 საჯარო სკოლა	ს.ს.ი.პ. „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“-ს
დირექტორი	დირექტორი
გიორგი ერაძე	გია მამულაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

მხარეთა შორის 2012 წლის 22.03 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 11 (გამარტივებული შესყიდვა)

26.03. 2012 წ.

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერებმა: **ერთის მხრივ** ს.ს.ი.პ. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის თეონა კუპატაძის** სახით (შემდგომში – მიმწოდებელი) და **მეორეს მხრივ სსიპ №107 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორი გიორგი ერაძის** სახით, (შემდგომში – მიმწოდებელი) შევადგინეთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი მასზე, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 2012 წლის 22.03 დადებული № 11 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის სახლში, ქ. თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა #1-ში 23, 24, 25 და 26 მარტს ჩაუტარა ტრენინგი თემაზე: „ბიოლოგიის ექსპერიმენტული ნაწილი" შემსყიდველის 1 თანამშრომელს - მაია თეთრაძე-ზაზაძეს.

მიწოდებული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა **90 ლარი** (ოთხმოცდაათი ლარი)

წინამდებარე აქტი შედგენილია სამ ეგზემპლარად (ერთი – მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
დირექტორის მოადგილე

თეონა კუპატაძე

სსიპ №107
საჯარო სკოლა
დირექტორი

გიორგი ერაძე